კაზუსი №1

- არ არის კანონიერი, რადგანაც სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ კანონით მემკვიდრეები, და არა მეგობარი, მოიპოვებენ უფლებას მართონ მინდობილი საკუთრების სახით უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონება.

კაზუსი №2

1. მოქმედი კანონმდებლობის ნორმები არ არის დაცული, რადგან საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირებას ახდენს საქართველოს პარლამენტი და არა მთავრობა.

2. არსებობს ორი სახის სამართლებრივი აქტი: ინდივიდუალური აქტი და ნორმატიული აქტი.

კაზუსი №3

1. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

2. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას უნდა ჰყავდეს სულ ცოტა ორი პარტნიორი მაინც.

კაზუსი №4

1. მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება არ არის კანონიერი , რადგანაც სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენების დამოწმება შეუძლია თვით საჯარო რეესტრის პასუხისმგებელ პირს ადგილზე .

2. არასამეწარმეო იურიდიული პირის რეეესტრს აწარმოებს საჯარო რეესტრი, მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრი.

კაზუსი №5

მოქ. ია კასრაძე არ არის მისთვის გადაცემული საქონლის მფლობელი, რადგანაც მფლობელად არ ითვლება ის პირი, რომელიც თუმცა ფაქტობრივ ბატონობას ახორციელებს საქონელზე, მაგრამ სხვის სასარგებლოდ, რომლისგანაც აქვს მიღებული საქონლის ფლობის უფლებანოსილება

კაზუსი №6

1. შეესაბამება, რადგანაც ჰონორარის მიღების მოთხოვნის უფლება შეიძლება გამოყენებული იქნას სესხის უზრუნველსაყოფად.

2. გირავნობა ისევე როგორც იპოთეკა წარმოადგენს მოთხოვნის (კრედიტის) უზრუნველყოფის საშუალებას.

კაზუსი №7

1. ბანკის განმარტება არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, რადგანაც ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება მეანაბრეთა მოთხოვნებზე ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში შეტანილი ანაბრის გამო.

2. სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3 წელს.

კაზუსი №8

შპს „ორიონ"-ის დირექტორის განმარტება არ შეესაბამება სრულად „მეწარმეთა შესახებ" კანონს. იმ სამეწარმეო საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფო ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50-% მეტს სამეთვალყურეო საბჭო შეიძლება შეიქმნას საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით. აღნიშნული ნორმა დისპოზიციურია ამიტომ მთავრობამ შეიძლება არც მიიღოს გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს შექმნაზე.

კაზუსი №9

1. შემკვეთს უფლება აქვს სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.
2. მოთხოვნა შესრულების ნაკლის გამო შემკვეთმა შეიძლება წარადგინოს 1 წლის მანძილზე, ხოლო მოთხოვნა რომელიც ნაგებობას შეეხება -5 წლის განმავლობაში სამუშაოს მიღების დღიდან.

კაზუსი № 10

1. პირველი რიგის უფლებად.
2. აღნაგობის უფლების ვადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით და იგი არ უნდა აღემატებოდეს 99 წელს.

კაზუსი №11

1. კანონიერია, რადგანაც აგურის სახლი მყარადაა დაკავშირებული მიწაზე და მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება.
2. საკუთვნებელი არის მოძრავი ნივთი რომელიც განკუთვნილია მთავარი ნივთვის სამსახურისთვის და იმყოფება მასთან სივრცობრივ კავშირში და ასევე ნივთი, რომელიც მიწასთანაა დაკავშირებული და რომლის მოცილებაც მიწიდან შესაძლებელია სასაქონლო ღირებულების დაკარგვის და არსებითი დანაკლისის გარეშე.

კაზუსი №12

1. კატალოგი, მასში განთავსებული ვიდეოკამერის შეთავაზებით იქნება მოწვევა ოფერტზე, ავალიანის მიერ გაკეთებული განაცხადი- ოფერტი, ხოლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში ოფერტს აქცეპტი არ მოჰყოლია, რადგანაც ავალიანს მაღაზიისგან პასუხი არ მიუღია.
2. ოფერტზე დაგვიანებით გაკეთებული აქცეპტი მიიჩნევა ახალ ოფერტად.

კაზუსი №13

1. გასათვალისწინებელია, რომ ლერი ნაკაშიძე 16 წლისაა, ხოლო მოქმედი კანონმდებლობით აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად. ქიმიურ კომბინატში მინერალური სასუქის დაფასოების საამქროში დასაქმება კი ასეთ სამუშაოთა კატეგორიას განეკუთვნება.

   ამასთანავე ცვლიანობის განრიგის ცვლილების შესახებ დასაქმებულს უნდა ეცნობოს 10 დღით ადრე, თუ ეს შეუძლებელი არ არის უკიდურესი საწარმოო აუცილებლობლობის გამო.

2. სამუშაო დღეების (ცვლების) შორის **დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 12** საათზე ნაკლები.

კაზუსი №14

1. პაატა ქორიძის მოთხოვნა არ არის კანონიერი, რადგანაც მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარება ევალება დამქირავებელს და იგი მოვალეა ეს სამუშაოები შეასრულოს საკუთარი ხარჯით.

2. საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა წერილობით უნდა გაფორმდეს.

კაზუსი №15

1. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ქარწყლდება:

   - იმ ვადის გასვლით რა ვადითაც გაიცა უფლებამოსილება;
   - უფლებამოსილი პირის უარით;
   - უფლებამოსილების გამცემი პირის მიერ უფლებამოსილების გაუქმებით;
   - უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალებით;
   - შესრულებით;
   - უფლებამოსილების გამცემი პირის მხარდამჭერის მიმღებად ცნობით.

2. უფლებამოსილების გაქარწყლების შემდეგ წარმომადგენელმა უფლებამოსილების საბუთი უნდა დაუბრუნოს უფლებამოსილების გამცემს. საბუთის დატოვების უფლება მას არ აქვს.

კაზუსი №16

ს/ს "კომფორტის" მოთხოვნა მოქმედ კანონმდებლობას არ შეესაბამება რადგან მას გააჩნია უფლება მოითხოვის იპოთეკა მხოლოდ სამშენებლო მიწის ნაკვეთზე.

კაზუსი №17

1. უცხოური საწარმოს ფილიალი საქართველოში აუდიტის ჩატარების უფლებამოსილებას იძენს აუდიტორების/აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

2. სდპ, პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები და პირველი და მეორე კატეგორიის ჯგუფები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ საკუთარი ფინანსური ანგარიშების/ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

კაზუსი №18

- ლეკიშვილს შეუძლია უარი თქვას სესხის მიცემაზე , თუ გურგენიძის ქონებრივი მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ შეიძლება საფრთხე შეექმნას ვალის დაბრუნებას, ან იმ შემთხვევაში თუ დაცული არ არის ხელშეკრულების ფორმა. სესხის შეპირება მოითხოვს წერილობით ფორმას.

კაზუსი №19

- თუ დამგირავებელი დაარღვევს კაზუსში მოყვანილ პირობას, მოგირავნეს აქვს თავისი მოთხოვნის დაუყოვნებლივ დაკმაყოფილების უფლება.

კაზუსი №20

1. მოქმედი კანონის ნორმები დაცულია, რადგანაც, თუ მოვალე თვითონ ან თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობს იმ შენობაში ან შენობის ნაწილში, რომელზეც დაწესებულია იძულებითი მართვა, მაშინ იგი ვალდებულია ბინის ქირა გადაიხადოს საბაზრო პირობებით იძულებითი მართვის დაწყების დღიდან.

2. იძულებითი მართვა უნდა გაუქმდეს, როდესაც კრედიტორი დაკმაყოფილებულია, ან აშკარა ხდება რომ კრედიტორის დაკმაყოფილება ვერ მოხდება ნივთის მართვის გზით.

კაზუსი №21

1. თუ უფლებამოსილი პირი იბრუნებს ნივთს, მპოვნელს შეუძლია მოსთხოვოს მას ჯილდო (საპოვნელი) ნივთის ღირებულების ხუთ პროცენტამდე.

2. .თუ ნაპოვნია ცხოველები, მალფუჭებადი ან ისეთი ნივთები, რომელთა შენახვაც დიდ ხარჯებს მოითხოვს, მაშინ ერთწლიანი ვადა არ გამოიყენება.

კაზუსი №22

მარეგისტრირებელი ორგანო კანონის შესაბამისად არ მოიქცა, იმიტომ რომ ცვლილებას სააქციო საზოგადოების აქციონერთა რეესრში ახორციელებს ან თვითონ საზოგადოება, ან დამოუკიდებელი რეგისტრატორი.

კაზუსი № 23

დიახ, რადგანაც ბინის გამქირავებელს მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გირავნობის უფლება გააჩნია ბინაში დამქირავებლის მიერ შეტანილ ნივთებზე.

კაზუსი № 24

კანონიერია, რადგანაც იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული შესაბამისი დებულება სავაჭრო კომპანია "ერგნეთი" არ არის ვალდებული შეისყიდოს ლიზინგის საგანი.

კაზუსი № 25

დირექტორის მოქმედება ამ შემთხვევაში არ არის კანონიერი, რადგანაც მას უძრავი ქონების შეძენა შეუძლია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.